*ვლადიმერ პაპავა*

# დეგლობალიზაციის პრობლემა და განახლებული გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი გამოწვევები

***ანოტაცია.*** *სტატიაში განხილულია COVID-19-ის პანდემიით, ასევე რუსეთის ომით უკრაინაში და აგრესორის წინააღმდეგ დაწესებული ეკონომიკური სანქციებით გამოწვეული ფსევდოდეგლობალიზაციის პროცესი. ნაჩვენებია, რომ დეგლობალიზაცია, როგორც ასეთი, პრინციპულად შეუძლებელია და არცაა მიზანშეწონილი. შესწავლილია ჰიპერგლობალიზაციის ტრანსფორმაციის ეტაპები როგორც მსოფლიოს, ისე ცალკეული ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევების გათვალისწინებით. გაკეთებულია დასკვნა, რომ ახალი გლობალიზაცია ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხებთან უშუალო კავშირში უნდა იყოს. ეკონომიკური უსაფრთხოების უშუალო გამოწვევებია მაღალი ინფლაცია, გლობალური სტაგფლაცია, სავალო კრიზისი, „ნავთობის ომი“, „სასურსათო ომი“ და სხვ. ყველა ამ გამოწვევას აქვს როგორც გლობალური, ისე ლოკალური ხასიათი.*

## შესავალი

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა არაერთი გამოწვევის წინაშე დგას. ის გლობალური ეკონომიკური წესრიგი, რომელიც ათეულობით წლის განმავლობაში ყალიბდებოდა და რისი შეცვლაც ბევრისთვის წარმოუდგენელიც კი იყო, ბოლო პერიოდში განვითარებულმა გლობალურმა მოვლენებმა კარდინალურად გარდაქმნა. კერძოდ, ეს მოვლენებია 2020 წლიდან დაწყებული COVID-19-ის პანდემია, მის მიერ გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი და 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყებული ომი, რასაც მოკლე დროში ფართომასშტაბიანი ეკონომიკური სანქციები მოჰყვა, რომლებიც დასავლეთმა რუსეთს დაუწესა.

COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი იმით გამოირჩევა, რომ ის ეკონომიკაში არ ჩასახულა [Papava, 2020 b], ამ დროს ეკონომიკა მედიცინის მძევალი იყო [Papava, 2020 a].

რუსეთის მიერ უკრაინაში წარმოებულმა ომმა და რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ დაწესებულმა ფართომასშტაბიანმა სანქციებმა [BBC, 2022] კიდევ უფრო დაამძიმა ის სიტუაცია, რომელიც გლობალურ ეკონომიკაში COVID-19-ის პანდემიის ფონზე ჩამოყალიბდა [Papava, 2022a, 2022b, 2022c, 2022d].

ეკონომისტებს შორის გამორჩეულ სადისკუსიო პრობლემას დეგლობალიზაცია (მაგალითად, [El-Erian, 2020; Spence, 2022; Stiglitz, 2022]) და, ზოგადად, გლობალიზაციის მომავალი (მაგალითად, [Rodrik, 2022a]) წარმოადგენს.

უშუალოდ გლობალიზაციის მომავალთან არის დაკავშირებული გლობალური საფრთხეების ახლებული გააზრების აუცილებლობა (მაგალითად, [Roubini, 2022b, 2022d]).

წინამდებარე კვლევის მიზანია გაანალიზებულ იქნეს, თუ რა კარდინალური ხასიათის მქონე ცვლილებები განაპირობა COVID-19-ის პანდემიამ, რუსეთ-უკრანის ომმა და რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ დაწესებულმა ფართომასშტაბიანმა სანქციებმა გლობალიზაციის პროცესში, რათა შესაძლებელი გახდეს ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი გამოწვევების განსაზღვრა.

## დეგლობალიზაცია, თუ ფსევდოდეგლობალიზაცია COVID-19-ის პანდემიის პირობებში

გლობალიზაციის შესახებ არსებულ შეხედულებათა ხელახალი გააზრების აუცილებლობა წინა პლანზე COVID-19-ის პანდემიამ, როგორც გლობალურმა ფენომენმა, წამოსწია [არჩვაძე, 2020; მექვაბიშვილი, 2020; ჭარაია, 2020; Abesadze, 2020; Bedianashvili, 2021; El-Erian, 2020; Haass, 2020; Rogoff, 2020; Tvalchrelidze, 2022].

იმის გათვალისწინებით, რომ COVID-19-ის პანდემიამ გლობალური ხასიათი სწორედ გლობალიზაციის მაღალი დონის გამო შეიძინა, შემთხვევითი არაა, რომ იგი „გლობალიზაციის საფასურადაც“ კი იქნა განხილული [Auzan, 2020, p. 4].

COVID-19 მოულოდნელად გამოვლინდა და თავიდანვე სწრაფად გავრცელდა, რამაც მას არაპროგნოზირებადი ხასიათი შესძინა. შედეგად, კორონავირუსის მასობრივ გავრცელებას მოუმზადებელი შეხვდნენ ეროვნული მთავრობები და საერთაშო-

რისო ორგანიზაციები (მაგალითად, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია). რადგანაც მედიცინა უძლური იყო, წინ აღდგომოდა COVID-19-ის პანდემიას, ამიტომ ვირუსის გავრცელების შეზღუდვის მიზნით გადაწყვეტილებები ქვეყნებმა, როგორც წესი, ინდივიდუალურ რეჟიმში მიიღეს. გამონაკლისი იყო ბელარუსი და შვედეთი, რომლებმაც COVID-19-ის გამოჩენისთანვე ორიენტაცია ჯოგური იმუნიტეტის ჩამოყალიბებაზე აიღეს.

COVID-19-ის პანდემიის დასაწყისიდანვე ეროვნულ მთავრობათა არაკოორდინირებულმა მოქმედებამ და საერთაშორისო ორგანიზაციების პასიურობამ ჩამოაყალიბა შეხედულება, რომლის თანახმადაც გლობალიზაციის საყოველთაო პროცესმა უკუსვლა დაიწყო, ანუ დეგლობალიზაციის ახალ ტენდენციას ჩაეყარა საფუძველი. ამ შეხედულებას ისიც ამყარებდა, რომ, სანამ COVID-19-ის პანდემია დაიწყებოდა, აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განახორციელა იმ ტიპის ღონისძიებები, რომლებიც დეგლობალიზაციის კონტექსტში სრულად ჯდება (მაგალითად, [Sachs, 2017]). აქვე იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ დეგლობალიზაციის დამახასიათებელი პროცესია ასევე ბრექსიტიც, ანუ დიდი ბრიტანეთის გასვლა ევროკავშირიდან (მაგალითად, [O'Rourke, 2019]).

დეგლობალიზაციის დაწყების აღქმა კიდევ უფრო გაამწვავა მიწოდებისა და ღირებულების გლობალური ჯაჭვების რღვევამ, რაც იზოლაციონიზმისთვისაა დამახასიათებელი და რასაც ეროვნულ მთავრობათა არაკოორდინირებულმა ქმედებებმა შეუწყო ხელი [Derviş, Strauss, 2020].

როგორც ცნობილია, იზოლაციონიზმი, როგორც ასეთი, ამუხრუჭებს ეკონომიკურ ზრდას [Rogoff, 2020]. იმავდროულად, იზოლაციონიზმი უარყოფით ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაზე, რასაც მრავალვექტორული – სოციალური, პოლიტიკური და, რაც მთავარია, ეკოლოგიური – განზომილება აქვს [Haass, 2020].

გლობალიზაციის გარდუვალობისა და მიზანშეწონილობის „ფორმულა“ მარტივია. კერძოდ, რადგანაც პანდემია გლობალური ფენომენია, ამიტომ მისი დაძლევა მხოლოდ გლობალიზაციის პირობებშია შესაძლებელი [Stiglitz, 2020a], ხოლო იზოლაციონიზმის საფუძველზე ეს პრინციპულად გამორიცხულია. ელემენტარული ლოგიკიდან გამომდინარე, თავიდანვე ნათელი იყო, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ცალკეული ქვეყნების მიერ

გატარებულ ღონისძიებათა მაქსიმალური კოორდინაციის გარეშე COVID-19-ის პანდემიის დაძლევა შეუძლებელი იქნებოდა [Mazzucato, Torreele, 2020]. იმავე ლოგიკის თანახმად, პანდემიის დაწყებიდან საკმაოდ მოკლე პერიოდში ცხადი გახდა, რომ ჯეროვან დონეზე ეკონომიკის პოსტპანდემიური განვითარება იზოლაციონიზმის გზით პრინციპულად შეუძლებელია [Åslund, 2020; Fung, 2020].

გასათვალისწინებელია, რომ COVID-19-ის პანდემიის პირობებში ყველაზე მოთხოვნადი სწორედ გლობალიზაციის ისეთი „პროდუქტები" გახდა, რომლებიც ინტერნეტტექნოლოგიების გამოყენებას (განსაკუთრებით, განათლებასა და ვაჭრობაში) ეფუძნება. მაშასადამე, ნათელია, რომ მხოლოდ გლობალიზაციის გზითაა შესაძლებელი პანდემიის გლობალური ფენომენის დაძლევა და მასთან დაკავშირებული სირთულეების გადალახვა [Abesadze, 2020; Tvalchrelidze, 2022].

სირთულეს არ წარმოადგენს იმ დასკვნის გაკეთება, რომლის თანახმადაც დეგლობალიზაციის ის ელემენტები, რომლებიც სტიმულირებული იყვნენ COVID-19-ის პანდემიის მიერ, სინამდვილეში არა დეგლობალიზაციის, არამედ ფსევდოდეგლობალიზაციის გამოვლინება იყო [Papava 2021a].

სწორედ პანდექსიტის, ანუ პანდემიის დასრულების [Davies, 2021] მისაღწევად, ასევე პოსტპანდემიური ეკონომიკური განვითარებისათვის [Papava, 2021b] აუცილებელია გლობალიზაციის თვისებრივად ახალ დონეზე აყვანა, ანუ გლობალიზაციის ახალი „ტალღის" წარმოქმნა [El-Erian, 2020].

ჯერ კიდევ COVID-19-ის პანდემიის დროს დაიწყო მსჯელობა მომავალი, განახლებული გლობალიზაციის კონტურებზე, თუმცა გამოითქვა არაერთგვაროვანი და თანაც ზოგიერთი საკამათო მოსაზრებაც (მაგალითად, [Schwab, Malleret, 2021]). სწორედ პანდემიის პირობებში მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ მოსალოდნელი განახლებული გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებული სიმწვავით ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემები გააქტიურდება, მათ შორის კი უმთავრესი სასურსათო (მაგალითად, [Blair, Kalibata, 2020]) და ენერგეტიკული (მაგალითად, [Tvalchrelidze, Silagadze, 2020]) უსაფრთხოების უზრუნველყოფა იქნება.

შეიძლება ითქვას, რომ COVID-19-ის პანდემიამ უშაუალოდ გლობალური მასშტაბის საფრთხე შექმნა. ამით კი გაააქტიურა სამეცნიერო დისკუსია იმის გარშემო, თუ რა შესაძლებლობები უნდა იყოს გამოყენებული როგორც პანდემიის მიმდინარეობისას, ისე პოსტპანდემიურ პერიოდში, რაც განახლებული გლობალიზაციის შესაბამისი კონტურების გაცნობიერებულ ფორმირებასთან [ჭარაია, 2020] მჭიდროდაა დაკავშირებული.

### სანქციონომიკა და გზა განახლებული გლობალიზაციისკენ

2022 წლის თებერვალში, რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წამოწყებული სამხედრო აგრესიის გამო დასავლეთმა მოსკოვს ფართომასშტაბიანი ეკონომიკური სანქციები დაუწესა [BBC, 2022].

როგორც ცნობილია, ეკონომიკურ სანქციებს ხანგრძლივი ისტორია აქვს (მათი შემოღების პირველი შემთხვევა ძვ.წ. მე-5 საუკუნით თარიღდება) (მაგალითად, [Abughris, n.d.]). ეკონომიკური სანქციების შემოღების სიხშირით განსაკუთრებით მეოცე საუკუნეა გამორჩეული (მაგალითად, [PIIE, n.d.]).

როცა ეკონომიკურ სანქციებთან გვაქვს საქმე, უწინარეს ყოვლისა, ყურადღების ცენტრში ექცევა უსაფრთხოების პრობლემა. კერძოდ, სხვადასხვა ქვეყნისთვის დაწესებული ეკონომიკური სანქციების ეფექტიანობის კვლევების თანახმად, მათი მეშვეობით დადებითი შედეგის მიღება ამ სანქციების ყოვლისმომცველობის დონეზეა დამოკიდებული. სხვა სიტყვებით, საყურადღებოა ის, თუ რამდენი ქვეყანა იღებს ამ სანქციების მიღებაში მონაწილეობას; არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, თუ რამდენად მაღალია ავტორიტარულობის დონე იმ ქვეყანაში, რომელსაც სანქციებს უწესებენ (მაგალითად, [Tarallo, 2020]).

რა თქმა უნდა, დასავლეთის მიერ რუსეთისთვის უკრაინაში შეჭრისა და საომარი ოპერაციების წამოწყების გამო დაწესებული ეკონომიკური სანქციები მსოფლიო ეკონომიკაზე ზეგავლენის შესწავლის კუთხით განსაკუთრებით საყურადღებოა [Krugman, 2022].

2022 წლამდე შემოღებული ეკონომიკური სანქციების ეფექტიანობის განზოგადების საფუძველზე რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ დაწესებული ფართომასშტაბიანი ეკონომიკური

სანქციების ეფექტიანობის შესწავლა თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა. ტერმინი *სანქციო-ნომიკა* (რომელიც ორი ტერმინის - „სანქციებისა“ და „ეკონომიკის“ გაერთიანებით მიიღება) ზუსტად შეესატყვისება ეკონომიკური მეცნიერების სფეროს, რომელიც ეკონომიკური სანქციების მიერ გამოწვეული ეკონომიკური შედეგების შესწავლაზე უნდა იყოს ფოკუსირებული [Papava, 2022a].

სანქციონომიკის კონტექსტში გლობალიზაციის თავისე-ბურების შესწავლა კიდევ უფრო მეტ სიმწვავეს იძენს.

როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, შთაბეჭდილება იმის შესახებ, რომ COVID-19-ის პანდემიის პირობებში გლობალიზაცია დას-რულდა და დეგლობაიზაცია დაიწყო სხვადასხვა ქვეყანაში კო-რონავირუსის გავრცელების შეზღუდვის მიზნით, კომპანიების მნიშვნელოვანი რაოდენობის ფუნქციონირების შეწყვეტვამ ჩა-მოაყალიბა. რა თქმა უნდა, ეს შთაბეჭდილება არ იყო მართებული.

გლობალიზაციის პროცესის მდგრადობაზე კი ყველაზე მკაფიოდ არალეგალური ეკონომიკური საქმიანობის (მაგალითად, ნარკობიზნესი ან იარაღის უკანონო ვაჭრობა) გლობალური ბუნება და მისი სრული აღმოფხვრის პრაქტიკული შეუძლებლობა მოწ-მობს. სამწუხარო ფაქტია, რომ ეროვნული მთავრობებისა და საერ-თაშორისო ორგანიზაციების (მაგალითად, ინტერპოლის) აქტიური ქმედებების მიუხედავად, გლობალური მასშტაბის მქონე ხსენე-ბული უკანონო ეკონომიკური საქმიანობა საკამაო სტაბლურობით გამოირჩევა.

გლობალიზაცია-დეგლობალიზაციის გარშემო გამართულმა დისკუსიამ ცხადყო, რომ პოლიტიკური გლობალიზაციის დონე პრაქტიკულად ჩამორჩება ეკონომიკური გლობალიზაციის დონეს, რამაც შექმნა დეგლობალიზაციის დაწყების ილუზია; დისპრო-პორცია პოლიტიკური და ეკონომიკური გლობალიზაციის დონე-ებს შორის სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გლობალიზაციის პროცესი შექცევადია [Kołodko, 2022].

მიუხედავად ამისა, აშკარაა, რომ COVID-19-ის პანდემიის დაწყებისთანავე ის გლობალიზაცია, რომელიც ყველასათვის კარ-გად იყო ცნობილი დასრულდა [Pisani-Ferry, 2021]. ამ შემთხვევაში კი, ბუნებრივია, რომ პასუხი გაეცეს კითხვას, თუ რას წარმოადგენს

ის გლობალიზაცია, რომელიც კარგადაა ცნობილი და რომელიც დასრულდა.

გასათვალისწინებელია, რომ COVID-19-ის პანდემიამდე გლობალიზაციამ მოიცვა ადამიანის საქმიანობის ყველა სფერო, უწინარეს ყოვლისა კი – ეკონომიკა, პოლიტიკა და კულტურა (მაგალითად, [Lutkevich, 2021]). მათ გარდა გლობალიზაცია შეეხო სოციალურ, ეკოლოგიურ, ტექნოლოგიურ და გეოგრაფიულ სფეროებსაც (მაგლითად, [Multiplier, n.d.]). სწორედ ამის გამო, COVID-19-ის პანდემიამდელ გლობალიზაციას *ჰიპერგლობალიზაცია* ეწოდება. ეკონომიკური თვალსაზრისით ჰიპერგლობალიზაციის პირობებში ქვეყნები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ გლობალური კორპორაციებისთვის უფრო მომგებიანი გარიგებების შეთავაზების მიზნით (Rodrik, 2021).

ჰიპერგლობალიზაციის ფონზე დაწყებულმა COVID-19-ის პანდემიამ გარკვეული რყევები გამოიწვია გლობალურ ეკონომიკაში, რომელმაც, როგორც უკვე აღინიშნა ზემოთ, არა დეგლობალიზაციას, არამედ ფსეცდოდეგლობალიზაციას დაუდო საფუძველი. ამ უკანასკნელს, რომელმაც გლობალიზაციის პროცესის გარკვეულ მოუწესრიგებულობაში და რყევებში იჩინა თავი, უპრიანია *ტურბულენტური გლობალიზაცია* ეწოდოს [Papava, 2022d]. გლობალიზაციის ტურბულენტურობის შემცირებაში კი კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის შემოღებასა და ფართოდ გავრცელებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა (მაგალითად, [Papava, 2021d]).

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის მხრიდან უკრაინაში დაიწყებულმა ომმა, და დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ შემოღებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა ძირფესვიანად შეცვალა მსოფლიო ეკონომიკის კონტურები [Roubini, 2022c], რაც, რა თქმა უნდა, მის გლობალურ ხასიათსაც შეეხო [Furman, 2022]. სხვა სიტყვებით, თვალსაჩინოა მსოფლიო ეკონომიკის არქიტექტურის ტრანსფორმაცია, რომლის უმთავრესი მახასიათებელია მსოფლიო ეკონომიკის ფრაგმენტაცია იმ ქვეყნებად, რომლებიც უერთდებიან რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებს, ქვეყნებად, რომლებიც რუსეთის მოკავშირეები არიან (ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება ბელარუსს), და ქვეყნებად, რომლებმაც ამ კონ-

ფრონტაციულ სქემაში ნეიტრალიტეტი შეინარჩუნეს (კერძოდ, ისრაელი, თურქეთი, ჩინეთი, ინდოეთი და სხვ.) [Papava, 2022b].

იმის ფონზე, რომ თუნდაც ფორმალურად COVID-19-ის პანდემია არ არის დასრულებულად გამოცხადებული, რუსეთის მიერ უკრაინაში წარმოებული ომისა და რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული ეკონომიკური სანქციების ფონზე, მსოფლიო ეკონომიკისათვის უმთავრესად კონფრონტაციულობაა დამახასიათებელი.

გლობალიზაციის კონტექსტში პასუხგასაცემია კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენადაა თავსებადი კონფრონტაციულობა და გლობალიზაცია? სხვა სიტყვებით, გამორიცხავს თუ არა კონფრონტაციულობა გლობალიზაციას?

აშკარაა, რომ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული ეკონომიკური სანქციები არასრულფასოვანია. ამის მიზეზი კი არის:

- ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყანის მიერ რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების დაწესების პარალელურად რუსული ენერგომატარებლების შეძენა [Dodman, 2022];
- მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, როგორ ეს ზემოთ უკვე აღინიშნა, რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებს არ შეერთებია.

სწორედ გლობალიზაციამ „შეუწყო ხელი“ თავის დროზე ეკონომიკური სანქციების გვერდის ავლაში ვენესუელას, თუ ირანს, რომელთა გამოცდილებასაც წარმატებით იყენებს რუსეთი მის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციების დასაძლევად და ახერხებს იმას, რომ სანქციების დამწესებელმა ქვეყნებმა ამ სანქციების მიუხედავად შეისყიდონ რუსული ნავთობი; ცალკე აღსანიშნავია, კრიპტოვალუტის გამოყენება, რაც, როგორც გლობალიზაციის პროდუქტი, პრაქტიკულად უალტერნატივოა ფულის არატრანსპარანტული გადარიცხვებისათვის [Ruehl, 2022].

მაშასადამე, რუსეთ-უკრაინის ომით და დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული ეკონომიკური სანქციებით გამოწვეული გლობალური ეკონომიკის კონფრონტაციული ხასიათი გლობალიზაციის დასრულებას ფაქტობრივად სულაც არ ნიშნავს. შესაბამისად გლობალიზაციის მოდიფიცირების ეს პროცესი *კონფრონტაციული გლობალიზაციის* გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს [Papava, 2022d].

კონფრონტაციული გლობალიზაციის გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს ე.წ. *„ფრენდშორინგი“* (“friendshoring”) ან *„ელაიშორინგი“* (“allyshoring”), ანუ ვაჭრობის შემოფარგვლა მხოლოდ საერთო ფასეულობების მქონე ქვეყნებით, როცა მიწოდების ჯაჭვების გადატანა ხდება იმ ქვეყნებში, სადაც შეფერხებების რისკი პოლიტიკურ გართულებათა გამონაკლებია (მაგალითად, [Kessler, 2022; Kollewe, 2022]). საყურადღებოა, რომ თანამედროვე ცვალებად მსოფლიოში საერთო ფასეულობების მქონე ქვეყნების წრე სულაც არ არის სტაბილური, რაც ფრენდშორინგის გასახორციელებლად სერიოზულ სირთულეებს ქმნის. თანაც ფრენდშორინგის ფორმატში ერთმანეთთან დაკავშირებული იქნებიან ეკონომიკური განვითარების მხრივ მეტ-ნაკლებად ერთნაირ დონეზე მყოფი ქვეყნები, რაც ამ ქვეყნების კოოპერაციულ კავშირებს განვითარებად ქვეყნებთან აშკარად შეასუსტებს (ცალკეული მიმართულებებით კი, სავარაუდოდ, საერთოდაც გაწყვეტს) [Rajan, 2022b]. იმავდროულად აშკარაა, რომ კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში ფრენდშორინგი გარდაუვალია.

ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ ფრენდშორინგი თავისი არსით იწვევს გლობალური ეკონომიკის ფრაგმენტაციას, რაც მსოფლიოს წინაშე არსებული გამოწვევების ფონზე სამომავლოდ ახალ სირთულეებს შექმნის. სწორედ ამიტომ, გაეროს გენერალური მდივანი ანტონიუ გუტერეში მსოფლიოს ამ გამოწვევებიდან გამომდინარე ხაზს უსვამს იმას, თუ რა დიდი მნიშველობა აქვს ერთიანი გლობალური ეკონომიკის არსებობას [UN, 2022]. საყურადღებოა, რომ თანამდეროვე გეოპოლიტიკა მწვავედ უპირისპირდება მსოფლიო ეკონომიკას, მის ერთიანობას [Rodrik, 2022b], და ამის უკან არა მარტო პანდემია და რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ დაწესებული ეკონომიკური სანქციებია, არამედ განსაკუთრებით მნიშვენლოვანია აშშ-სა და ჩინეთს შორის არსებული „ცივი ომისთვის“ დამახასიათებელი კონფლიქტური ხასიათის მქონე ურთიერთობაც, რომელსაც საფუძველი ჯერ კიდევ დონალდ ტრამპის პრეზიდენტობისას ჩაეყარა და ჯო ბაიდენის პრეზიდენტობის პერიოდშიც გრძელდება (მაგალითად, [Carr, ed., 2021; Rudd, 2022; Woodward, 2017]).

როგორც ვხედავთ, ჰიპერგლობალიზაცია თავდაპირველად ტურბულენტურში, ხოლო შემდეგ კონფრონტაციულ გლობალიზა-

ციაში გადაიზარდა. ბუნებრივად ჩნდება კითხვა, თუ მომავალში მას რა ჩაანაცვლებს? მაშასადამე, გასააზრებელია ის, თუ როგორი ხასიათის იქნება გლობალიზაცია კონფრონტაციული გლობალიზაციის შემდეგ, ანუ მაშინ, როცა რუსეთის ომი უკრაინაში დასრულდება და დასავლეთიც მოუხსნის რუსეთს ეკონომიკურ სანქციებს. ამ კონტექსტში იგულისხმება, რომ COVID-19-ის პანდემიაც იქნება დასრულებული.

ზემოთ უკვე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ COVID-19 პანდემიის დროს მსჯელობის საგანი გახდა გლობალიზაციის ე.წ. ახალი „ტალღის" გააზრების აუცილებლობა. ამ „ტალღამ", თავის მხრივ, გლობალიზაციის პროცესი თვისებრივად უნდა განაახლოს [El-Erian, 2020] და ე.წ. „უკეთესი გლობალიზაციის" [Rodrik, 2022a] ფორმირებას უნდა შეუწყოს ხელი.

„უკეთესი გლობალიზაცია" მიგვანიშნებს, რომ ის გლობალიზაციის ყველა წინა სახეობასთან (ანუ ჰიპერგლობალიზაციასთან და, მით უმეტეს, ტურბულენტურ და კონფრონტაციულ გლობალიზაციასთან) შედარებით უკეთესი უნდა იყოს. სიტყვა „უკეთესი", თავის მხრივ, საკმაოდ ბუნდოვანია, ამიტომ აუცილებელია „უკეთესი გლობალიზაციის" არსში გარკვევა.

ძნელია არ დაეთანხმო ჯოზეფ სტიგლიცს, ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატს, რომელიც თვლის, რომ პრობლემა მხოლოდ გლობალიზაციაში არ არის, რადგანაც თავად საბაზრო ეკონომიკაა არასაკმარისად მდგრადი [Stiglitz, 2022].

COVID-19-ის პანდემიამ, ისევე როგორც უკრაინაში რუსეთის ომმა და რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა აშკარად გაამწვავა ეკონომიკის მდგრადობის პრობლემა, რომელიც უშუალოდაა დამოკიდებული ენერგეტიკულ [UN, 2021] და სასურსათო უსაფრთხოებასთან [Blair, Kalibata, 2020]. ეს კი შესაბამისად, რუსეთ-უკრაინის პარალელურად მიმდინარე გლობალური ხასიათის მქონე „ნავთობის ომის" [Bugriy, 2022] და „სასურსათო ომის" [Frum, 2022] პირდაპირი შედეგია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ხსენებული „უკეთესი გლობალიზაცია" მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ჰიპერგლობალიზაციის ცნობილი სქემები უპირობოდ გაითვალისწინებენ ცალკეული ქვეყნების, რეგიონებისა და მთელი მსოფლიოს

ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობას. მაშასადამე, „უკეთესი გლობალიზაცია“ არის *გლობალიზაცია ეკონომიკური უსაფრთხოებით.* სწორედ მან უნდა ჩაანაცვლოს კონფრონტაციული გლობალიზაცია მაშინ, როცა რუსეთის ომი უკრაინაში დასრულდება ისე, რომ დასავლეთი მოუხსნის აგრესორს ეკონომიკურ სანქციებს.

**ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი გამოწვევების შესახებ**

თავდაპირველად COVID-19-ის პანდემიამ, შემდეგ კი რუსეთის ომმა უკრაინაში და დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა არსებითად გაამწვავა გლობალური საფრთხეების პრობლემა, იმ საფრთხეების, რომლებიც ადამიანის ცხოვრების და საქმიანობის პრაქტიკულად ყველა სფეროს ეხება [Roubini, 2022b, 2022d]. ამის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია კლიმატის ცვლილებით გამოწვეული გლობალური (მათ შორის, ეკონომიკური) საფრთხეები [Rajan, 2022].

როცა საუბარია თანამედროვე ეკონომიკურ საფრთხეებზე, უწინარეს ყოვლისა, ყურადსაღებია მაღალი ინფლაცია, რომელიც გლობალური პრობლემაა (მაგალითად, [Acemoglu, 2021a; Marin, 2021b]. კერძოდ, COVID-19 პანდემიის პირობებში ინფლაციის ზრდა მიწოდების შემცირებით იყო გამოწვეული. ეს კი მიწოდების გლობალური ჯაჭვების რღვევამ განაპირობა. სწორედ ამიტომ ამ ტიპის ინფლაციისთვის გაჩნდა ტერმინი „მიწოდების ჩეინფლაცია“ (“Supply-Chainflation”) (Pride, Reynolds, Vovk, 2022). ტერმინი „ჩეინფლაცია“ წარმოქმნილია ორი ინგლისური სიტყვის “chain” (ქართულად „ჯაჭვი“) და “inflation”-ის („ინფლაცია“) გაერთიანებით. მიწოდების გლობალური ჯაჭვების რღვევით არა უბრალოდ მცირდება მიწოდება, არამედ მთელი ტექნოლოგიური ციკლების შემკვრელი ჯაჭვებიც წყდება, რის შედეგადაც უშუალოდ წარმოებაც ეცემა, ანუ აშკარა ხდება *ნაკლებწარმოების ინფლაცია* [Papava, 2022e].

ტრადიციული შეცდომა, რომელსაც უშვებენ ნაკლებწარმოების ინფლაციასთან მიმართებით ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას, არის ის, რომ ამ ინფლაციას მაკროეკონომიკურ პრობლემად მიიჩნევენ [Galbraith, 2021]. სინამდვილეში კი, რო-

გორც ითქვა, ნაკლებწარმოების ინფლაცია უშუალოდ მიწოდების გლობალური ჯაჭვების რღვევითაა განპირობებული. მაშასადამე, ნაკლებწარმოების ინფლაცია თავისი ბუნებით ინსტრუმენტული პრობლემა არ არის.

გლობალური ჯაჭვების რღვევა ყველაზე მეტი სიმწვავით გამოიკვეთა ისეთ პროდუქტებზე, როგორციაა ნახევარგამტარები, დიდი ტევადობის ბატარეები, რომლებიც გამოიყენება ელექტრომობილებში, მნიშვნელოვანი მინერალები და მასალები, ფარმაცევტული პრეპარატები და თანამედროვე ფარმაცევტული ინგრედიენტები [Marin, 2021a].

მიწოდების გლობალური ჯაჭვების რღვევით გამოწვეული პრობლემის გადასაწყვეტად სამი შემდეგი მიმართულება იკვეთება [Marin, 2021]:

1. ამა თუ იმ ქვეყნიდან ადრე გატანილი წარმოების უკან იმავე ქვეყანაში დაბრუნება;
2. მიწოდების ჯაჭვების ფუნქციონირებაში რყევებისგან დაცვის მიზნით რესურსების დამატებითი მარაგების შექმნა;
3. ფირმების მიერ რესურსების სხვადასხვა, დივერსიფიცირებული წყაროდან მიღება.

საყურადღებოა, რომ „რეშორინგი“ (“reshoring”), ანუ კომპანიების სამშობლოში დაბრუნება, ან „ნიაშორინგი“ (“nearshoring”), ანუ კომპანიების შორეული ქვეყნებიდან მეზობელ ქვეყნებში გადმოტანა, თანდათანობით ზემოხსენებულმა ფრენდშორინგმა ჩაანაცვლა [Kessler, 2022]. ლოგიკურია კითხვა, თუ რამდენადაა შესაძლებელი (უფრო ზუსტად კი რამდენად ძვირია) ფრენდშორინგის გზით მიწოდების შემცირების პრობლემის დაძლევა [Kollewe, 2022].

აშკარაა, რომ არა უბრალოდ ფრენდშორინგი, არამედ ზოგადად მიწოდების ჯაჭვების დივერსიფიკაცია საკმაოდ რთული განსახორციელებელია, და, რაც მთავარია, მიწოდების ჯაჭვის გართულებასთან ერთად შესაბამისი ეკონომიკური რისკიც იზრდება [Acemoglu, 2021b], რაც საბოლოო ჯამში ფასების დონის ზრდას შეუწყობს ხელს.

ეკონომიკური უსაფრთხოებიდან გამომდინარე მიწოდების ჯაჭვების დივერსიფიკაცია გარდაუვალია, თუმცა გასათვალის-

წინებელია ისიც, რომ ეს პროცესი, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე, ინფლაციის ზრდას განაპირობებს.

მართალია, თანამედროვე ნაკლებწარმოების ინფლაცია გლობალური პრობლემაა, თუმცა ის სერიოზული გამოწვევაა ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის. საყურადღებოა, რომ ამ ინფლაციიდან თავის დაღწევა მხოლოდ და მხოლოდ გლობალურ დონეზეა შესაძლებელი, რაც კიდევ უფრო ართულებს და პრაქტიკულად შეუძლებელსაც კი ხდის ამ პრობლემის ინდივიდუალურ რეჟიმში გადაწყვეტას.

არსებული მიწოდების გლობალური ქსელების განახლების ამოცანის სირთულე ეკონომიკური მეცნიერების წინაშე აყენებს მიწოდების ჯაჭვების ფორმირების, ფუნქციონირებისა და შესაძლო რყევებზე მათი რეაგირების მოდელების შექმნისა და განვითარების აუცილებლობის საკითხს [Spence, 2021].

ინფლაციის ზრდის მნიშვნელოვან წყაროს როგორც პანდემიის, ისე რუსეთ-უკრაინის ომის დროს სურსათის გაძვრებაა [Ghosh, 2022; Reinhart, Graf Von Luckner, 2022], რაც ზემოაღნიშნული „სასუსათო ომითაა" უშუალოდ გამოწვეული.

განსაკუთრებული სიმწვავით დგას ნავთობსა და გაზზე ფასების მატება. 2022 წლის ბოლოს „დიდი შვიდეულის" მიერ რუსულ ნავთობზე ფასის ზედა ზღვარის (60 აშშ დოლარი ბარელზე) დაწესება (მაგალითად [Reed, 2022]) მოსკოვისთვის, როგორც მოსალოდნელი იყო, მიუღებელი აღმოჩნდა [VOA, 2022]. ფაქტობრივად კი ყველაფერი იქით მიდის, რომ, დიდი ალბათობით, მსოფლიოში ახალი ენერგეტიკული კრიზისი ჩამოყალიბდება [Moran, 2022], რაც გამოწვევს ნავთობპროდუქტების გაძვირებას, რის შედეგადაც წარმოების დანახარჯების ზრდით გამოწვეულ ინფლაციას შეეწყობა ხელი. აქვე იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ რუსულ ნავთობზე ფასის დაწესებული ზედა ზღვარი არა იმდენად რუსეთზე იმოქმედებს უარყოფითად, რამდენადაც ხელსაყრელი იქნება ჩინეთისთვის, რომელიც კიდევ უფრო მეტ რუსულ ნედლ ნავთობს შეიძენს, ხოლო და მისი გადამუშავებით მიღებულ ნავთობპროდუქტებს ზევრად ძვირად გაყიდის [Lacalle, 2022].

აშკარაა, რომ მაღალი ინფლაციის ფონზე გაიზრდება უმუშევართა რიცხვი, რაც სტაგფლაციური პროცესის დაწყებას მოასწავებს [Roubini, 2022a], თანაც ეს სტაგფლაცია სავალო კრიზისთან

იქნება ინტეგრირებული [Roubini, 2022e]. ეს სულაც არ არის გასაკვირი თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ სახელმწიფოთა მიერ აღებული ვალის არსებითი ზრდა ჯერ კიდევ COVID-19 პანდემიის პირობებში დაიწყო (მაგალითად, [Papava, Charaia, 2021]).

ფაქტია, რომ თუ გლობალურად ქვეყნის (ანუ კერძო და სახელმწიფო სექტორების ერთობლივი ვალის) თანაფარდობა მთლიან სამამულო პროდუქტთან 1999 წელს იყო 200%, 2021 წელს ის 350% გახდა, ხოლო 2022 წლის ბოლოსთვის ამ თანაფარდობამ განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, ასევე  კონკრეტულად  აშშ-ში, 420%-ს, ხოლო ჩინეთში 330%-ს მიაღწია [Roubini, 2022f].

ცალკე პრობლემაა ეკონომიკის ზომბირება, რომელსაც განსაკუთრებით COVID-19-ის პანდემიის პირობებში შეეწყო ხელი [Papava, 2021c; Papava, Chkuaseli, 2021; Stiglitz, 2020b]. ეს პრობლემა სტაგფლაციური სავალო კრიზისის პირობებში აუცილებლად გამწვავდება [Daniel, 2022; Roubini, 2022f].

განხილულ ეკონომიკურ საფრთხეთა უმრავლესობა გლობალური ხასიათისაა, თუმცა მათ  ცალკეული ეროვნული სახელმწიფოების კონტექსტში მკაფიოდ გამოკვეთილი თავისებურებები აქვთ, რაც თითოეული ეკონომიკური საფრთხის მიმართულებით დამატებით შესწავლას მოითხოვს.

## დასკვნა

COVID-19-ის პანდემიას გლობალური ხასიათი თავად გლობალიზაციის მაღალმა დონემ შესძინა.

COVID-19-ის პანდემიის საწყის ეტაპზე გამოიკვეთა ეროვნულ მთავრობათა არაკოორდინირებული მოქმედება და საერთაშორისო ორგანიზაციების დაბნეულობით გამოწვეული პასიურობა. ამან კი გამოიწვია იმ შეხედულების ფორმირება, რომლის თანახმადაც გლობალიზაციის საყოველთაო პროცესი შეფერხდა და მან უკუსვლა დაიწყო, ანუ პანდემიამ დეგლობალიზაციის ტენდენციას შეუწყო ხელი.

COVID-19-ის პანდემიის პირობებში ეკონომიკის ცალკეული სექტორების ჩაკეტვამ მიწოდების გლობალური ჯაჭვის რღვევა განაპირობა, რაც ისევ და ისევ დეგლობალიზაციის კონტექსტში იქნა აღქმული.

გლობალიზაციის გარდუვალობისა და მიზანშეწონილობის „ფორმულა“ შემდეგია: პანდემიის გლობალური ხასიათის გამო მისი დაძლევა მხოლოდ გლობალიზაციის პირობებშია შესაძლებელი.

COVID-19-ის პანდემიის მიერ პროვოცირებული დეგლობალიზაციის ელემენტები ფაქტობრივად არა დეგლობალიზაციის, არამედ ფსევდოდეგლობალიზაციის გამოვლინება იყო.

ზოგადად, გლობალიზაციის პროცესის მდგრადობას ყველაზე რელიეფურად არალეგალური ეკონომიკური საქმიანობის (მაგალითად, ნარკობიზნესისა ან იარაღის უკანონო ვაჭრობის) გლობალური ბუნება ცხადყოფს. ფაქტობრივად ეროვნული მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების (კერძოდ, ინტერპოლის) აქტიური მცდელობების მიუხედავად, ხსენებული უკანონო ეკონომიკური საქმიანობა საკმაო მდგრადობით გამოირჩევა.

2022 წლის თებერვალში რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წამოწყებული სამხედრო აგრესიის გამო დასავლეთმა მოსკოვს ფართომასშტაბიანი ეკონომიკური სანქციები დაუწესა, რომელთა მსოფლიო ეკონომიკაზე ზეგავლენის შესწავლა განსაკუთრებით საინტერესოა.

ნათლად გამოიკვეთა, რომ პოლიტიკური გლობალიზაციის დონე აშკარად ჩამორჩება ეკონომიკური გლობალიზაციის დონეს, რაც დეგლობალიზაციის დაწყების ილუზიის მაპროვოცირებელი აღმოჩნდა.

COVID-19-ის პანდემიამდე განვითარებულმა ჰიპერგლობალიზაციამ ადამიანის საქმიანობის ყველა სფერო მოიცვა. სწორედ ჰიპერგლობალიზაციის ფონზე დაწყებულმა COVID-19-ის პანდემიამ გლობალურ ეკონომიკაში გარკვეულ რყევებს მისცა ბიძგი, რის შედეგადაც ჰიპერგლობალიზაცია ტურბულენტურმა გლობალიზაციამ ჩაანაცვლა.

იმის გამო, რომ დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ შემოღებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობა ვერ მოიცვა (მაგალითად, თურქეთი, ისრაელი, ინდოეთი, ჩინეთი), ხოლო თავად სანქციები რუსულ ენერგორესურსებზე სრულფასოვნად ვერ განხორციელდა, ტურბულენტური გლობალიზაციიდან მოხდა კონფრონტაციულ გლობალიზაციაზე გადასვლა.

რუსეთის ომმა უკრაინაში და რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა უშუალოდ იმოქმედა მსოფლიო ეკონომიკის მდგრადობაზე, რაც „ნავთობის ომთან“ და „სასურსათო ომთანაა“ დაკავშირებული. ამან კი განაპირობა ის, რომ მსოფლიოს მასშტაბით პრიორიტეტული ხდება გლობალიზაცია ეკონომიკური უსაფრთხოებით, რომელმაც კონფრონტაციული გლობალიზაცია უნდა ჩაანაცვლოს.

თანამედროვე ეკონომიკურ საფრთხეებს შორის ანგარიშგასაწევია მაღალი ინფლაცია, რომელიც მიწოდების გლობალური ჯაჭვის წყვეტითაა გამოწვეული და, ამდენად, გლობალური პრობლემაა.

ეკონომიკური უსაფრთხოებიდან გამომდინარე მიწოდების ჯაჭვების დივერსიფიკაცია გარდაუვალია.

ინფლაციასთან ერთად, გლობალურ ეკონომიკურ გამოწვევათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ სტაგფლაცია, როცა მაღალი ინფლაციის ფონზე უმუშევრობაც გაიზრდება, თანაც სტაგფლაციის ფონზე სავალო კრიზისიც გარადუვალი გახდება.

სავალო კრიზისი სტაგფლაციის ფონზე უშუალოდ იმოქმედებს განსაკუთრებით COVID-19 პანდემიის პირობებში ხელშეწყობილ ზომბირებულ ეკონომიკაზე.

მოსალოდნელ ეკონომიკურ საფრთხეებს აქვს როგორც გლობალური, ისე ლოკალური (ეროვნულ სახელმწიფოთა დონეზე) განზომილება. მათი შესწავლა კი კვლევის ცალკე საგანს წარმოადგენს.

## გამოყენებული ლიტერატურა


არჩვაძე ი. 2020. კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული გლობალური ცვლილებები (პოლიტეკონომიკური ასპექტები). თბილისი, „მწიგნობარი“.

მექვაბიშვილი ე. 2020. „გლობალური კორონომიკური კრიზისის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე“. *ეკონომიკა და ბიზნესი*, XII (2): 9–12.

ჭარაია ვ. 2020. „კორონომიკა – საფრთხე თუ შესაძლებლობა?!“ *ეკონომიკა და ბიზნესი*, XII (2): 68–72.

Abesadze R. 2020. “Globalization and the Economic Problems of the Pandemic.” *Ekonomisti* XVI (2): 14–20. (In Russian).

Abughris N. n.d. “A Brief History of Economic Sanctions.” *Carter-Ruck*, Accessed March 112, <https://www.carter-ruck.com/insight/a-brief-history-of-economic-sanctions/>.

Acemoglu D. 2021a. “The Real Inflation Risk.” *Project Syndicate*, July 6, <https://www.project-syndicate.org/commentary/inflation-does-not-justify-derailing-recovery-for-workers-by-daron-acemoglu-2021-07>.

Acemoglu, Daron. 2021b. “The Supply-Chain Mess.” *Project Syndicate*, December 2, <https://www.project-syndicate.org/commentary/us-supply-chain-mess-incentives-for-offshoring-by-daron-acemoglu-2021-12>.

Åslund A. 2020. “Trump’s Global Recession.” *Project Syndicate*, March 13, <https://www.project-syndicate.org/commentary/donald-trump-covid19-global-recession-by-anders-aslund-2020-03>.

Auzan A. A. 2020. “The Economy Under the Pandemic and Afterwards.” *Population and economics*, 4(2): 4–12, <https://populationandeconomics.pensoft.net/article/53403/>.

BBC. 2022. “What Sanctions are being Imposed on Russia over Ukraine Invasion?” *BBC*, September 30, <https://www.bbc.com/news/world-europe-60125659>.

Bedianashvili G. 2021. “Macroeconomic and Cultural Determinants of the COVID-19 Pandemic Crisis.” *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences* 15 (2): 191–197.

Blair T., Kalibata A. 2020. “Building Food Security During the Pandemic.” *Project Syndicate*, May 7, <https://www.project-syndicate.org/commentary/four-ways-to-boost-food-security-during-covid19-pandemic-by-tony-blair-and-agnes-kalibata-2020-05?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=2ad6876daf-sunday_newsletter_10_05_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-2ad6876daf-93567601&mc_cid=2ad6876daf&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog>.

Bugriy M. 2022. “The Oil War: Facing EU Embargo, Russia Targeted Ukraine’s Supplies.” *Eurasia Review*, May 20,

<https://www.eurasiareview.com/20052022-the-oil-war-facing-eu-embargo-russia-targeted-ukraines-supplies-analysis/>.

Carr E. A. Jr. ed. 2021. *From Trump to Biden and Beyond: Reimagining US–China Relations*. New York: Palgrave Macmillan.

Daniel W. 2022. "'Dr. Doom' Nouriel Roubini Says a Severe Recession will Cause Stocks to Drop 25% – and Warns Zombie Companies Are in Danger." *Fortune*, December 8, <https://fortune.com/2022/12/07/how-bad-recession-economist-dr-doom-nouriel-roubini-stock-market-forecast/>.

Davies H. 2021. "The Economic Risks of Pandexit." *Project Syndicate*, September 13, <https://www.project-syndicate.org/commentary/post-pandemic-economic-recovery-inflation-risk-by-howard-davies-2021-09?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=c72b1f49ee-sunday_newsletter_19_09_2021&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-c72b1f49ee-93567601&mc_cid=c72b1f49ee&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog>.

Derviş K., Strauss S. 2020. "What COVID-19 Means for International Cooperation." *Project Syndicate*, March 6, <https://www.project-syndicate.org/commentary/global-cooperation-can-prevent-next-pandemic-by-kemal-dervis-and-sebasti-n-strauss-2020-03>.

Dodman B. 2022. "Baltic States End Russian Gas Imports – But Can the Rest of Europe Follow Suit?" *France 24*, April 5, <https://www.france24.com/en/business/20220405-baltic-states-end-russian-gas-imports-%E2%80%93-but-can-the-rest-of-europe-follow-suit>.

El-Erian M. A. 2020." Navigating Deglobalization." *Project Syndicate*, May 11, <https://www.project-syndicate.org/commentary/covid19-deglobalization-two-priorities-by-mohamed-a-el-erian-2020-05?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=3ce69c95d3-sun-

day_newsletter_17_05_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-3ce69c95d3-93567601&mc_cid=3ce69c95d3&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog>.

Frum D. 2022. "The Food War." *The Atlantic*, March 8, <https://www.theatlantic.com/ideas/archive/2022/03/rising-food-prices-ukraine-russia-war/626967/>.

Fung V. K. 2020. "The Trade Cure for the Global Economy." *Project Syndicate*, April 22, <https://www.project-syndicate.org/commentary/covid19-crisis-revive-multilateralism-open-trade-by-victor-k-fung-2020-04?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=871db40e9f-sunday_newsletter_26_04_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-871db40e9f-93567601&mc_cid=871db40e9f&mc_eid=e9fb6cbcc0>.

Furman J. 2022. "The Economic Consequences of the Ukraine War." *Project Syndicate*, February 25, <https://www.project-syndicate.org/commentary/economic-consequences-of-ukraine-war-by-jason-furman-2022-02>.

Galbraith J. K. 2021. "Whipping Up America's Inflation Bogeyman." *Project Syndicate*, November 19, <https://www.project-syndicate.org/commentary/inflation-not-macroeconomic-problem-for-fed-by-james-k-galbraith-2021-11>.

Ghosh J. 2022. "The Price Increases that Matter for the Poor." *Project Syndicate*, January 12, <https://www.project-syndicate.org/commentary/tackling-the-food-price-inflation-problem-by-jayati-ghosh-2022-01?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=118bd24b14-covid_newsletter_01_13_2022&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-118bd24b14-93567601&mc_cid=118bd24b14&mc_eid=e9fb6cbcc0>.

Haass R. 2020. "Deglobalization and Its Discontents." *Project Syndicate*, May 12, <https://www.project-syndicate.org/commentary/deglobalizaton-discontents-by-richard-n-

haass-2020-05?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=3ce69c95d3-sunday_newsletter_17_05_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-3ce69c95d3-93567601&mc_cid=3ce69c95d3&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog>.

Jun H. 2022. "The Death of Globalization and the New Industrial Models." *Eurasia Review*, December 10, <https://www.eurasiareview.com/10122022-the-death-of-globalization-and-the-new-industrial-models-analysis/>.

Kessler S. 2022. "What Is 'Friendshoring'?" *The New York Times*, November 18, <https://www.nytimes.com/2022/11/18/business/friendshoring-jargon-business.html>.

Kollewe J. 2022. "Friendshoring: What Is It and Can It Solve Our Supply Problems?" *The Guardian*, August 6, <https://www.theguardian.com/business/2022/aug/06/friendshoring-what-is-it-and-can-it-solve-our-supply-problems>.

Kołodko G. W. 2022. "The Irreversibility of Globalization." *Project Syndicate*, September 5, <https://www.project-syndicate.org/commentary/globalization-and-multilateral-cooperation-not-ending-by-grzegorz-w-kolodko-2022-09>.

Krugman P. 2022. "How the Putin Shock Might Affect the World Economy." *The New York Times*, March 8, <https://www.nytimes.com/2022/03/08/opinion/putin-russia-ukraine-economy-sanctions.html>.

Lacalle D. 2022. "The G7 Cap on Russian Oil Is a Subsidy to China." *Mises Wire*, December 10, <https://mises.org/wire/g7-cap-russian-oil-subsidy-china>.

Lutkevich B. 2021. "Globalization." *Tech Target*, July, <https://www.techtarget.com/searchcio/definition/globalization>.

Marin D. 2021a. "Making Supply Chains More Resilient" *Project Syndicate*, July 27, <https://www.project-

syndicate.org/commentary/should-governments-help-to-boost-supply-chain-resilience-by-dalia-marin-2021-07>.

Marin D. 2021b. “Will Deglobalization Fuel Inflation?” *Project Syndicate*, November 2, <https://www.project-syndicate.org/commentary/deglobalization-wage-price-spiral-in-advanced-economies-by-dalia-marin-2021-11>.

Mazzucato M., Torreele E. 2020. How to Develop a COVID-19 Vaccine for All. *Project Syndicate*. April 27, <https://www.project-syndicate.org/commentary/universal-free-covid19-vaccine-by-mariana-mazzucato-and-els-torreele-2020-04?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=64d8372856-sun-day_newsletter_03_05_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-64d8372856-93567601&mc_cid=64d8372856&mc_eid=e9fb6cbcc0>.

Moran A. 2022. “Russian Oil Price Cap will Fuel Energy Crisis.” *Eurasia Review*, December 2, <https://www.eurasiareview.com/02122022-russian-oil-price-cap-will-fuel-energy-crisis-oped/>.

Multiplier. n.d. “Types Of Globalization: A Thorough Overview.” *Multiplier*, <https://www.usemultiplier.com/blog/types-of-globalization>.

O’Rourke K. 2019. *A Short History of Brexit*. London: Pelican.

Papava V. 2020a. “Coronomic Crisis: When the Economy Is a Hostage to Medicine.” *Eurasia Review. News & Analysis*, March 29, <https://www.eurasiareview.com/29032020-coronomic-crisis-when-the-economy-is-a-hostage-to-medicine-oped/>.

Papava V. 2020b. “On the Atypical Economic Crisis Under the COVID-19 Pandemic.” *Economics and Business*, XII (4): 9–16.

Papava V. 2021a. “On Pseudo De-Globalization, Silk Road of Global Value Chains and Role of Georgia.” *Eurasia Review*, October 18, <https://www.eurasiareview.com/18102021-on-pseudo-de-globalization-silk-road-of-global-value-chains-and-role-of-georgia-oped/>.

Papava V. 2021b. “On the Correlation Between Pandexit and Crisexit.” *Eurasia Review*, October 7,

<https://www.eurasiareview.com/07102021-on-the-correlation-between-pandexit-and-crisexit-oped/>.

Papava V. 2021c. *The Threat of the Formation of a Post-pandemic Zombie Economy and the Legal Capacity of Bankruptcy Mechanisms*. GFSIS Expert Opinion No. 170. Tbilisi: Georgian Foundation for Strategic and International Studies, <https://gfsis.org.ge/files/library/opinion-papers/170-expert-opinion-eng.pdf>.

Papava V. 2021d. "Vaccination: "To Be, Or Not to Be"... ." *Rondeli Blog*, September 1, <https://gfsis.org.ge/blog/view/1305?fbclid=IwAR2p_6I5dSDJAn2B_zE7QD4f_dCGu_pFUY_wrmO7a763CF9m2vy72HW6dsI>.

Papava V. 2022a. "On Sanctionomics. *Eurasia Review*." March 14, <https://www.eurasiareview.com/14032022-on-sanctionomics-oped/>.

Papava V. 2022b. "On the Main Challenges of the Architecture Transformation of the World Economy." *Eurasia Review*, March 31, <https://www.eurasiareview.com/31032022-on-the-main-challenges-of-the-architecture-transformation-of-the-world-economy-oped/>.

Papava V. 2022c. "Moving from Hyper-Globalization." *Eurasia Review*, October 28, <https://www.eurasiareview.com/28102022-moving-from-hyper-globalization-oped/?fbclid=IwAR2pYf4-drq_z0j5oF9mad6BO8SrjxvsRUbd7ebBjdtt6Fp14jYVZiVITq0>.

Papava V. 2022d. "Pandemic, War and Economic Sanctions: From Turbulent to Confrontational Globalization." *Eurasia Review*, May 23, <https://www.eurasiareview.com/23052022-pandemic-war-and-economic-sanctions-from-turbulent-to-confrontational-globalization-oped/>.

Papava V. 2022e. "The Underproduction Inflation: An Acute Challenge for Post-Pandemic World." *Eurasia Review*, February 7, <https://www.eurasiareview.com/07022022-the-underproduction-inflation-an-acute-challenge-for-post-pandemic-world-oped/?fbclid=IwAR1GA4IrKY8hc3No1DDsrw6fx271vinRPgYSCr4lC3L4MP3hDPaYmVilrqA>.

Papava V., Chkuaseli M. 2021. "Coronomics, Financial Support for the Economy and Its Zombie-Ing (In the Context of the Fifth Factor

of Production).” *Finance: Theory and Practice* 25 (5): 6–23, DOI: <https://doi.org/10.26794/2587-5671-2021-25-5-6-23>, <https://financetp.fa.ru/jour/article/view/1319>.

Papava V., Charaia V. 2021. “Public Debt Increase Challenge Under COVID-19 Pandemic Economic Crisis in the Caucasian Countries”. *Journal of Contemporary Issues in Business and Government*, 27(3): 18–27, DOI: 10.47750/cibg.2021.27.03.003, <https://www.cibgp.com/pdf_10671_72103217f68c7736aa8ce283a31829fa.html>.

PIIE. n.d. “Summary of Economic Sanctions Episodes, 1914–2006.” *Peterson Institute for International Economics*, <https://www.piie.com/summary-economic-sanctions-episodes-1914-2006>.

Pisani-Ferry J. 2021. “The End of Globalization as We Know It.” *Project Syndicate*, June 28, <https://www.project-syndicate.org/commentary/future-of-globalization-national-priorities-international-threats-by-jean-pisani-ferry-2021-06>.

Pride J. D., Reynolds M. T., Vovk V. 2022. “Supply-Chainflation.” *Glenmede*, January 10, <https://www.glenmede.com/wp-content/uploads/2022/01/Investment-Strategy-Notes-01-10-22.pdf>.

Rajan R. G. 2022a. “Deglobalization Is a Climate Threat.” *Project Syndicate*, November 18, <https://www.project-syndicate.org/commentary/deglobalization-threatens-fight-against-climate-change-by-raghuram-rajan-2022-11?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=64c8db3409-sunday_newsletter_11_20_2022&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-64c8db3409-93567601&mc_cid=64c8db3409&mc_eid=e9fb6cbcc0>.

Rajan R. G. 2022b. “Just Say No to “Friend-Shoring”.” *Project Syndicate*, January 3, <https://www.project-syndicate.org/commentary/friend-shoring-higher-costs-and-more-conflict-without-resilience-by-raghuram-rajan-2022-06>.

Reed S. 2022. “An E.U. Embargo of Russian Oil and the G7’s Price Cap Take Effect.” *The New York Times*, December 5,

<https://www.nytimes.com/2022/12/05/world/europe/russia-oil-price-cap-embargo.html>.

Reinhart C. M., Graf Von Luckner C. 2022. "The Return of Global Inflation." *Project Syndicate*, February 11, <https://www.project-syndicate.org/commentary/return-of-global-inflation-by-carmen-reinhart-and-clemens-graf-von-luckner-2022-02?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=ed8a55c22b-sunday_newsletter_02_13_2022&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-ed8a55c22b-93567601&mc_cid=ed8a55c22b&mc_eid=e9fb6cbcc0>.

Rodrik D. 2021. "The G7 Tax Clampdown and the End of Hyper-Globalization." *Project Syndicate*, June 7, <https://www.project-syndicate.org/commentary/g7-corporate-tax-agreement-end-of-hyper-globalization-by-dani-rodrik-2021-06 .

Rodrik D. 2022a. "A Better Globalization Might Rise from Hyper-Globalization's Ashes." *Project Syndicate*, May 9, <https://www.project-syndicate.org/commentary/after-hyperglobalization-national-interests-open-economy-by-dani-rodrik-2022-05?barrier=accesspaylog>.

Rodrik D. 2022b. "Don't Let Geopolitics Kill the World Economy." *Project Syndicate*, November 10, <https://www.project-syndicate.org/commentary/us-china-high-tech-trade-restrictions-by-dani-rodrik-2022-11?utm_source=project-syndicate.org&utm_medium=email&utm_campaign=authnote&barrier=accesspaylog>.

Rogoff K. 2020. "Deglobalization Will Hurt Growth Everywhere." *Project Syndicate*, June 3, <https://www.project-syndicate.org/commentary/deglobalization-threat-to-world-economy-and-united-states-by-kenneth-rogoff-2020-06?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=56f4462bc8-sunday_newsletter_07_06_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-56f4462bc8-

93567601&mc_cid=56f4462bc8&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog>.

Roubini N. 2022a. “From Great Moderation to Great Stagflation.” *Project Syndicate*, August 9, <https://www.project-syndicate.org/commentary/great-stagflation-has-replaced-great-moderation-by-nouriel-roubini-2022-08>.

Roubini N. 2022b. *Megathreats: Ten Dangerous Trends That Imperil Our Future, And How to Survive Them*. New York: Little, Brown and Company.

Roubini N. 2022c. “Russia’s War and the Global Economy.” *Project Syndicate*, February 25, <https://www.project-syndicate.org/onpoint/russias-war-and-the-global-economy-by-nouriel-roubini-2022-02>.

Roubini N. 2022d. “The Age of Megathreats.” *Project Syndicate*, November 4, <https://www.project-syndicate.org/onpoint/age-of-megathreats-war-climate-debt-inflation-technology-by-nouriel-roubini-2022-11?barrier=accesspaylog>.

Roubini N. 2022e. “The Stagflationary Debt Crisis Is Here.” *Project Syndicate*, October 3, <https://www.project-syndicate.org/commentary/stagflationary-debt-crisis-is-here-by-nouriel-roubini-2022-10>.

Roubini N. 2022f. “The Unavoidable Crash.” *Project Syndicate*, December 2, <https://www.project-syndicate.org/commentary/stagflationary-economic-financial-and-debt-crisis-by-nouriel-roubini-2022-12?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=414efefcef-sunday_newsletter_12_04_2022&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-414efefcef-93567601&mc_cid=414efefcef&mc_eid=e9fb6cbcc0>.

Rudd K. 2022. *The Avoidable War: The Dangers of a Catastrophic Conflict between the US and Xi Jinping's China*. New York: Public Affairs.

Ruehl J. P. 2022. “Sanctions Batter Russia As The Kremlin Attempts To Overcome Them.” *Eurasia Review*, December 6,

<https://www.eurasiareview.com/06122022-sanctions-batter-russia-as-the-kremlin-attempts-to-overcome-them-oped/>.

Sachs J. 2017. “Global Cooperation is the Only Way Forward for the US.” *World Economic Forum*, January 6, <https://www.weforum.org/agenda/2017/01/jeffrey-sachs-global-cooperation-is-the-only-way-forward-for-the-us/>.

Schwab K., Malleret T. 2021. *COVID-19: The Great Reset*. Geneva: World Economic Forum.

Spence M. 2021. “Why Are Supply Chains Blocked?” *Project Syndicate*, November 3 <https://www.project-syndicate.org/commentary/prevent-future-supply-chain-disruptions-using-ai-models-by-michael-spence-2021-11>.

Spence M. 2022. “Done With Deglobalization?” *Project Syndicate*, November 25, <https://www.project-syndicate.org/commentary/us-china-competition-reversal-of-deglobalization-trend-by-michael-spence-2022-11?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=476b5113e8-sunday_newsletter_11_27_2022&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-476b5113e8-93567601&mc_cid=476b5113e8&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog>.

Stiglitz J. E. 2020a. “Plagued by Trumpism.” *Project Syndicate*, March 9, <https://www.project-syndicate.org/commentary/trump-coronavirus-failure-of-small-government-by-joseph-e-stiglitz-2020-03?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=cba7e1c6a1-sunday_newsletter_15_03_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-cba7e1c6a1-93567601&mc_cid=cba7e1c6a1&mc_eid=e9fb6cbcc0>.

Stiglitz J. E. 2020b. “Priorities for the COVID-19 Economy.” *Project Syndicate*, July 1, 2020. https://www.project-syndicate.org/commentary/covid-2020-recession-how-to-respond-by-joseph-e-stiglitz-2020-06?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=67133fbc

7b-covid_newsletter_02_07_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-67133fbc7b-93567601&mc_cid=67133fbc7b&mc_eid=e9fb6cbcc0.

Stiglitz J. E. 2022. "Getting Deglobalization Right." *Project Syndicate*, May 31, <https://www.project-syndicate.org/commentary/deglobalization-and-its-discontents-by-joseph-e-stiglitz-2022-05?barrier=accesspaylog>.

Tarallo M. 2020. "The Effectiveness of Economic Sanctions as a Security Tool." *ASIS International*, January 1, <https://www.asisonline.org/security-management-magazine/articles/2020/01/the-effectiveness-of-economic-sanctions-as-a-security-tool/>.

Tvalchrelidze A. G. 2022. "World Economy After the COVID-19 Pandemic: Opportunities and Challenges." *Nanotechnology Perceptions*, 18(2): 116–137.

Tvalchrelidze A., Silagadze A. 2020. "COVID-19 Coronavirus Pandemic Influence on Crude Oil Prices. A Preliminary Statistical Analysis." *Economics and Business*, XII (2): 82–88.

UN. 2021. "Enhancing Energy Security in the Context of the Coronavirus Disease Pandemic for a Greener, More Resilient and Inclusive Energy Future in the Region." *UN Economic and Social Council*, February 1, <https://www.unescap.org/sites/default/d8files/event-documents/ESCAP_77_17_E.pdf>.

UN. 2022. "Secretary-General Argues Importance of a Single Global Economy." *Eurasia Review*, November 14, <https://www.eurasiareview.com/14112022-secretary-general-argues-importance-of-a-single-global-economy/>.

VOA. 2022. "Russia Rejects G7 Oil Price Cap." *Eurasia Review*, December 4, <https://www.eurasiareview.com/04122022-russia-rejects-g7-oil-price-cap/>.

Woodward J. 2017. *The US vs China: Asia's New Cold War?*. Manchester: Manchester University Press.

*Vladimer Papava*

## THE PROBLEM OF DEGLOBALIZATION AND THE MAIN CHALLENGES TO NATIONAL ECONOMIC SECURITY IN THE CONTEXT OF RENEWED GLOBALIZATION

**Summary**

The paper examines the process of pseudo-deglobalization caused by the COVID-19 pandemic as well as Russia's war against Ukraine and the economic sanctions against the aggressor. It is shown that deglobalization as such is in principle impossible and inexpedient. The stages of transformation of hyperglobalization are studied. Taking into account the challenges facing both the world and individual countries, it is concluded that the new globalization should be directly related to issues of economic security. The immediate challenges to economic security are high inflation, global stagflation, debt crisis, the "Oil War," the "Food War" and others. All these challenges are both global and local.

*ვახტანგ ბურდული*

## გლობალური ეკონომიკური საფრთხეები და მათი გავლენა ეროვნულ ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე

***ანოტაცია.*** *ნაშრომში განხილული და სისტემატიზებულია ელემენტები (ატრიბუტები, ინსტრუმენტები, მექანიზმები, ცნობიერი რეგლამენტატორები), რომლებიც უზრუნველყოფენ გლობალიზაციის რეალიზაციას საერთოდ და გლობალურ ეკონომიკურ განვითარებას კერძოდ. ჩატარებულია თანმიმდევრული ექსკურსი სხვადასხვა ისტორიული ეპოქის ძირითად გლობალიზაციათა მიხედვით და ამ გლობალიზაციაში ეკონომიკური და ჰუმანიტარული განვითარების დონის მდგომარეობის მოკლე დახასიათებით. განსაკუთრებული ყურადღებით ნაშრომში განხილულია რუსეთის იმპერიის (საბჭოთა კავშირის, რუსეთის ფედერაციის) სივრცეზე*